რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тиф. лисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი. *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты* „*Дроэба.*“

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., $1/2$ წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

## ტელეგრამმები

—

ლონდონი, 4 თებერვალს. გაზეთს „ტაიმსს“ შემდეგი დეპეშა მოუვიდა სტამბოლიდამ: აქ ამბობენ, რომ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ერთის ნაწილით რუსის ჯარით სტამბოლში შემოვაო, მაგრამ როგორც მტერი, ისე კი არა, როგორც სტუმარიო და ხონთქარის ნება-დართვითაო. რუსების ჰაზრით, ეს გარემოება ინგლისს არ მისცემს მიზეზს, რომ ომი გამოუცხადოს რუსეთს, რადგან ინგლისის ფლოტიც სტამბოლის მახლობლად დგასო.

დრეზდენი, 4 თებერვალს. „დრეზდენის გაზეთს“ სწერენ სტამბოლიდამ: ევროპის ყველა სახელმწიფოები დათანხმდნენ, რომ კონგრესი, და არა კონფერენცია, ბადენ-ბადენში შეიკრიბოს.

საბოლოოთ გადაწყდა, რომ კონგრესი შეიკრიბება ბადენ-ბადენში, სადაც გერმანიის მხრით თვითონ თ. ბისმარკი მიდის.

პეტერბურღი, 5 თებერვალს. ხვალ, 6 თებერვალს, ნასადილევის 2 საათზე, აქ მობრძანდება დ. მ. რუსეთის ტახტის მემკვიდრე.

ლონდონი, 5 თებერვალს. რუსებმა დაიჭირეს სიმაგრე, რომელიც სტამბოლის დასაცველ სიმაგრეთ ითვლება.

ოდესსა, 5 თებერვალს. დროებითი მორიგების პირობის ძალით, ქალაქი სულინი 31 იანვარს ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს.

ბერლინი, 5 თებერვალს. გერმანიის მთავრობას მოუვიდა ცნობა, რომ ახალი პაპი ამოურჩევიათ; ის არის იტალიელი და ეკუთვნის ზომიერ პარტიას.

## ომის ამბები

### შერიგების თაობაზე

ბელგიურ გაზეთს „Indépendance Belge“-ში დაბეჭდილია ეს ტელეგრამმა ვენიდამ 27 იანვარს მიღებული:

„ყველა სახელმწიფოებისაგან მოვიდა აქ პასუხი გრაფ ანდრასიის წინადადებაზედ, რომ ვენაში შეიკრიბოს კონფერენცია აღმოსავლეთის საქმეების თაობაზე მოსალაპარაკებლად; მხოლოთ რუსეთი არ არის თანახმა, რომ ეს კონფერენცია ვენაში შეიკრიბოს. ამის გამო ამბობენ, დრეზდენში ანუ ბადენ-ბადენში შეიკრიბებიანო.“

დღევანდელს გაზეთში დაბეჭდილის ტელეგრამმიდამ შეიტყობთ, რომ კონფერენცია შეიკრიბება ბადენ-ბადენში ამ თებერვლის განმავლობაში.

—

ინგლისის ახლანდელი სამინისტროს გაზეთს „Morning Post“-ში მოყვანილია შემდეგი სტრიქონები:

„იმედი გვაქვს, რომ მომავალს კონფერენციაზე ინგლისი თავის ღირსების შესაფერს წარმომადგენელს დანიშნავს; ვერც ერთი ახლანდელი ჩვენი დიპლომატი ვერ შეასრულებს ისე კარგათ ამ მოვალეობას, როგორც ლორდ ლეიონსი და ჰერნი ელიოტი, რომელთაც გამოცდილება და ზედმიწევნითი ცოდნა აღმოსავლეთის საქმეებისა მიუძღვისთ წინ. ჰენრი ელიოტი კარგად იცნობს ღენ. იგნატიევს, რომელიც, უეჭველია, რუსეთის მხრით იქნება ამ კონფერენციაზე დანიშნული და რომელთანაც ბრძოლაში ის გამოცდილია.“

—

გაზეთს „Presse“-ში იწერებიან პეტერბურღიდამ:

„დღემდინ კაცმა არ იცოდა—თუ რაში მდგომარეობდა პირველი მუხლი რუსეთსა და ოსმალეთს შუა შერიგებისა; ახლა კი აღმოჩნდა, რომ ამ მუხლში მოხსენებულია თურმე, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შეუკრავთ პირობა, რომ ჭირში და ლხინში ერთად იყვნენ, თუ ომი ატყდა, ერთად ებრძოლონ საზოგადო მტერს. ამას გარდა, ამბობენ, ხსენებულს მუხლში მოხსენებული არისო, რომ რუსის ჯარებმა დროებით უნდა დაიჭირონ რამდენიმე ქალაქი ოსმალეთისა, სხვათა შორის სტამბოლიც.“

—

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, რომ ხონთქარი და დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჩატალჯიში (სტამბოლის მახლობლად) აპირებენ ერთმანეთის ნახვას და შერიგების თაობაზე მოლაპარაკებასაო.

—

ზოგიერთს ინგლისურს და ნემეცურს გაზეთებში დაბეჭდილია წიგნი, რომელიც რუმინიის ერთს დიპლომატს ალექსანდრის მიუწერია თ. გორჩაკოვისათვის. ამ წიგნში ალექსანდრი ძალიან ცხარე სიტყვებით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ რუსეთი ბესარიაბიის დათმობას თხოულობს რუმინიისაგან: ჩვენს საშველად, ოსმალებისაგან დასახსნელად და განსათავისუფლებად მოხველით და ახლა საუკეთესო ნაწილს ჩვენის ქვეყნისას თხოულობთო, უნდა წაგვართვათო და სხვ. და სხვ.

## ომისთვის მზადება

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია 29 იანვარს ვენიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ავსტრიასაც გაუგზავნია სტამბოლში თავის სამხედრო ხომალდები.

—

27 თებერვალს ლონდონში გავრცელებულა ხმა, რომ რუსის ჯარები კონსტანტინოპოლში შევიდნენო. ამ ხმას დიდი მოძრაობა და ღელვა მოუხდენია ინგლისელებზე. მმართებლობის მომხრე გაზეთები იწერებიან, რომ ინგლისმა ამ წამსვე ომი უნდა გამოუცხადოს რუსეთსაო, თუ ახლავე არ გაიყვანა ჯარები სტამბოლიდამაო; სხვა გაზეთებზედაც დიდი ზედ-მოქმედება ჰქონია ამ ამბავს; მაგრამ ისინი აშოშმინებენ ხალხს, ამბობენ, რომ სტამბოლის დაჭერას რუსებისაგან ისე უნდა უყურებდეთ, როგორც გერმანიისაგან პარიჟის დაჭერასაო, ისევ მალე გავლენ იქიდამაო და სხვ.

მოგეხსენებათ, რომ სულ ეს აყალ-

მაყალი და დაფეთება ფუჭი შეიქნა, რადგან ტყეილი გამოდგა ის ამბავი, რომ ვითომც რუსის ჯარები სტამბოლში შევიდნენო.

—

ბაზ. Indépen. Belge“ გვაცნობებს, რომ მითხად-ფაშას სტამბოლში დაბრუნების უფლება მისცა ხონთქარმაო ამ გაზეთის კორრესპონდენტის სიტყვით, მითხად-ფაშის დაბრუნება ინგლისის ელჩის ლეიარდის შუამავლობით უნდა მოხდარიყოს, რადგან ეს ჭკუანი კაცი საუკეთესო მოამხრეა ინგლისისა და დახელოვნებული მოწინააღმდეგე რუსეთისა.

# საქართველო

## ღღიური

*** არ ვიცი რამდენათ მართალია, მაგრამ ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ვითომც ჩვენს ქალაქში ჭირი (ქამი) გაჩენილა და ვითომც ამ დღეებში ხუთი კაცი მომკვდარიყოს ამ საშინელი ავათმყოფობისაგან. აჰბობენ, ვითომ გუშინწინ მადამ ტოლლეს მაღაზიაში ერთი ფრანკუზის მკერვალი ქალი უეცრად წაიქცა, თავით ფეხებამდინ გაშავდა, კბილები შეეკრა და იქვე მოკვდაო.

თუ ეს ამბავი მართალია, რაღა თქმა უნდა, მთავრობასა და ქალაქის ბამგეობას კარგა მარჯვედ და მხნედ მოქმედება, მართებთ თორემ თუ ახლავე ამისთანა საშინელი სენი გაგვიჩნდა, როცა გამოზაფხულდება და დღეები გათბება, მაშინ რაღას უნდა მოველოდეთ?!...

*** ქართლიდამ გვატყობინებენ, რომ ქითკენ უანგარიშო მგლები გაჩენილან და ხშირად შიგ სოფლებშიაც შემოდიანო. კორრესპონდენტის სიტყვით, ამის მიზეზი ის არის, რომ ჭირიან საქონელს არ მარხვენ ჩვენი გლეხები მიწაში, ხშირად საცა მოკვდება, იქვე სტოვებენ და იმათ სუნზე მგლები ტყეებიდამ ჩამოდიანო. რამდენიმე კაცი დაუკბენია ბომში, ქსანში და სხვა სოფლებში ამ მგლებს. სხვათა შორის, როგორც გვწერენ, ერთი დედა-კაცი ამოუღია საფლავიდამ მგელს და შეუჭამია. ბევრი ძაღლებიც გაცოფიანებულა ქართლისაკენ.

*** თან-და-თან ეტყობა ჩვენს ქალაქს ომის შეწყვეტა და შაეს ზღვაზე გზის გახსნა: თითქმის ყველა გვარი საქონელი, რაც ზღვით მოჰქონდათ ჩვენკენ, ყოველ დღე იაფდება; შაქარი მაგალითად ამ ქამად 7 მანეთად და 75 კაპეიკად იყიდება.

რაღა თქმა უნდა, როცა ყირიმიდამ და სამზღვარ გარეთიდამ მოელენ ხომალდები და მოგვიტანენ საქონელს, მაშინ უფრო გაიაფდება. მოგეხსენებათ, რომ პირველი ხომალდი რუსის საზოგადოებისა „იუნონა“ 2 თებერვალს უნდა გამოსულიყო ოდესიდამ; აგრეთვე რიშარს, ტოლლეს, ბრეგეს საქონელიც, მოდისო, როგორც „თფ. მოამბე“ გვაცნობებს, მარსელიდამ, და ყველა ეს ხომალდები საქონლით დატვირთული ამ დღეებში ფოთში უნდა მოვიდნენ.

*** „თფილისის მოამბის“ სიტყვით ის სასამართლო ადგილები, რომელნიც ომის გამო ფოთიდამ ქუთაისში გადა-იტანეს, ამ ქამად, რადგან ომი დროებით შესწყდა, ისევ ფოთში ვადაბრუნდენ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ზემო იმერეთი, 2 თებერვალს.** ყველამ იცის, თუ როგორ შეიკრიბნენ პირველად დრუჟინის მილიციონერები: მთავრობის ბრძანებით ასს კომლზე ორი კაცი უნდა გამოსულიყო.

ბევრს ეგონა, თუ ამითი გათავდებოდა საქმე.

პირველად მილიციონერების გაყვანაზე მსურველები უფრო მეტი აღმოჩნდა. ალენჭის-ყრა თუმცა მოახდინეს ზოგიერთ ალაგას, მაგრამ ღმერთმან ნუ-ღარსად ქმნას იმისთენა კენჭის-ყრა...

საზოგადოებაში პირველად ფულები მოაგროვეს თითქმის თითო მანეთი გლეხზე და მილიციონერებს 80—100 მანეთამდე გაატანეს. თუმცა ძვირად დაუჯდა საზოგადუებას ამ ფულების გადახდა, მაგრამ რა გაეწყობოდა. რა ბოროტმოქმედება ჩაიდინეს სოფლის მოხელეებმა, ამაზე აღარ ღირს ლაპარაკი.

მოვიდა კიდევ მეორეთ ბრძანება, რომლითაც ითხოვდნენ მილიციონერებს, მაგრამ თავის სურვილით. მამასახლისებს გაუთენდათ აღდგომა. დაფაცურდნენ სოფელში და რამდენი ფულები დაეხარჯათ საწყალ გლეხებს, თქვენ იანგარიშეთ!

# ფელეტონი

## ფიქრები

—

ჰოი მთაწმინდავ, მთაო წმინდაო,
ადგილნი შენნი
დამფიქრველნი, ვერანნი და უდაბურნი...

ნ. ბარათაშვილი

ერთი ახირებული ხასიათი სჭირს ადამიანის გონებას, რომლისთვისაც ეს ხასიათი, შემთხვეევისამებრ, ღონეც არის და სისუსტეც: ხშირად კაცის გონებაში ერთი ერთმანეთზე მჭიდროდ გადაბმულნი არიან სრულებით სხვა-და-სხვა და ერთი მეორის შეუფარდებელნი საგნები; ვთქვათ სამშობლო რაში ჰგავს ჩიხირთმას? სულ არასფერში; მაგრამ რამთენი „განათლებული“ კაცია, რომელსაც სამშობლო მხოლოდ მაშინ აგონდება, როდესაც ჩიხირთმას მიირთმევს, ან მხოლოდ მანემდინ, ვინემ ჩიხირთმის მადის ბორგვას დაწყნარებდეს! დაკმაყოფილდა კუჭი და განქრა ჩიხირთმის გემოვნებასთან სამშობლოს ხსენებაც!...

ამ გვარი კაცი ჰგვამს კახურს ღვინოს, თან ატანს კახეთსა, მიირთმევს ჩიხირთმასა—საქართველოს; ცხელ-ცხელ ღომთან გადაჰყავს იმერეთი, სამეგრელო, გურია და სხვა...

იქნება გეგონოს, მეგობარო მკითხველო, რომ სასაცილოდ ვამბობდე შე ამას? არა! გარწმუნებ; მე ხშირად დავრწმუნებულვარ, რომ მტკიცედ შეკავშირებულ არიან ბევრის სულში ეს საგნები. შემიმჩნევია,—კახეთის ხსენებაზე ნერწყვი ზედი-ზედ ჩაუყლაპავსთ, და წარმოუროტავსთ ჭაეჭავაძე.... თ. ჭავჭავაძის ღვინო რაღა!

მეგობარო მკითხველო! შენ ამაზე იტყვი: რა არის მერე აქ ან გასაკვირველი, ან ახირებული! დიდი განათლება არ უნდა, კაცმა იცოდეს, რომ კახეთში მოჰყავთ კახური ღვინო, რომელიც ისყიდება ჭავჭავაძის ღვინოდაც! ქართლში—პური, იციან ბოზაბაში, ჩიხირთმა; იმერეთში ღომი და სხვა! კაცს ის აგონდება, რაც იცის!“

მართალს ამბობ, ჩემო მკითხველო, გასაკვირველი არ არის, რომ მუცელი დიდი მეხსიერების მეპატრონე რამ არის, მაგრამ მე ხომ მუცლის მეხსიერება მარტო ერთი მაგალითი მოვიყვანე. აი მეორე მაგალითი, რომელიც კაცის გონებაზე სულ სხვას ამბობს:

ვთქვათ, ვახსენე ჯაფა ან მუშაობა ხალხისა. ბანა იმავე კეთილშობილ-განათლებულ ადამიანს ეს სიტყვა გაახსენებს სამშობლოს, ან ჩაბუჟბუჟებულ ბოზბაშს, ან ჭაეჭავაძის ღვინოსა? მე არ მოგიკვდეს! შეიძლება ამ სიტყვამ მოაგონოს მუშის კურტანი, ან ბარი, თოხი, ან გუთანი, და ესეც ძალიან იშვიათად; ნამდვილში კი ეს სიტყვა მოაგონებს სრულიად მიუდგომელ რასმე, უფრო ხშირად სიზარმაცეს! სად მუშაობა და ჯაფა ხალხისა და სად სიზარმაცე! მერე ვის ტვინში!, ეს ორი სიტყვა მტკიცედ გადაბმულია განათლებულ-კეთილშობილის კაცის ტვინში!

შენ რაც გინდა, ისა სთქვი, მკითხველო, და მე კი მგონია, რომ ეს მაგალითები გასაკვირველი— ჩასაფიქრებელი მაგალითები არიან, სხვა არა იყოს-რა, ფსიხოლოგიურის მხრით მაინც. ამაზე შენ იფიქრე, მეგობარო, და მე იმაზე მოგელაპარაკები, რაც მე ეხება პირდა-პირ მეწიწმატ-მეტალხუნება, ე. ი. ცოცხლად სიკვდილზედ.

აბა რა ლაპარაკი უნდა, რომ სიცოცხლეს და სიკვდილს შუა უზომო უფსკრული ძევს.

„Иди сдѣлай, сиди сдѣлай, шуа уѣзд дидо ѣзвари“.

მაგრამ დაუფიქრებელად კი დაახლოებულ არიან. მეტადრე მაშინ, როდესაც ადამიანს სიცოცხლე სიკვდილის მზგავსად აქვს წარმოდგენილი ტვინში და სიკვდილი სიცოცხლის მზგავსად. საქმე იმაშია, რომ იმათ შუა უძევს უზომო უარარაობა და ამიტომ ახლო-ახლო

მადლობა ღმერთს, რომ უეზდის უფროსმა გაიგო ეს მალე და გამოუცხადა საზოგადოებას—თუ თავისი სურვილით არავინ გამოვა, ძალით წაყვანა არავისი შეიძლებაო და არც ისეთი ბრძანება გვაქვს მოსულიო. წაუხდათ სოფლის მოხელეებს საქმე..

ეხლა მოვიდა ხელ-ახლა ბრძანება, თითო საზოგადოებიდამ 5—6 მილიციონერი უნდა გამოვიდეს.—უეზდის უფროსმა, რომელმანც გაიგო კარგად დარბაისლური საქციელი სოფლის მოხელეებისა და იმათთან მყოფი მწერლებისა, კენჭის-ყრა მოახდინა საზოგადოებებში თავის ჩინოვნიკებით, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა მიროვს პოსრედნიკებმაც. ამათ ისე სვინდისიანათ მიჰყავთ საქმე, რომ სასიამოვნო არის ყველა იმათთვის, ვისაც ჩვენი გლეხები ებრალებათ: კამელარიიდამ გამოიწერენ ხოლმე ისეთ კომლებს, რომელშიაცა ოთხი ხუთი კაცი ირიცხება და მეტი და ოთხ კაცზე თუ ნაკლებია, ის არ მიყავსთ კენჭში. ვისაც ხვდება კენჭი, არაფერს არ ამბობს, ემორჩილება თავის ბედს და არც არავის ფული ეხარჯება მა საქმეში.

ამისთანა განკარგულებისათვის დიდად მადლიერლნი არიან ჩვენი უეზდის უფროსისა და იმ ჩინოვნიკების, ვინც ამისთანა კენჭის-ყრა მოახდინა, რადგან ყველას სვინდისიანათ მიყავს საქმე.

ერთი-ორი საზოგადოების გლეხებისას ამბობენ, საზოგადოების განჩინების ძალით, თითო მანეთს ახდევინებენო. ამ ანგარიშით თითო მილიციონერს მოუწევს 100 მანეთამდე. ვისი თაოსნობით მოხდა ამისთანა განჩინების შედგენა არ ვიცით. ვიცით, რომ უეზდის უფროსს ეს არავისთვის უბრძანებია. მე ვფიქრობ ეს ისევე სოფლის მოხელების მოხერხება უნდა იყოს, რომ აქედამ მაინც ისარგებლონ რამე. ფულის მიღებაზე კვიტანციასაც არავის აძლევენ და თუ ლაპარაკი რაიმე შეიქმნა ვინ რას დაამტკიცებს?..

იქნება ომიანობა სულაც აღარ იქნეს და ეს ფულები საწყალ ლატაკ გლეხებს ტყუილა გაჰახდეს და აღარც მილიციონერებმა ისარგებლონ. დიდ სასარგებლო საქმეს იზამს უეზდის უფროსი ამისთანა განჩინების შედგენას დაუშლიდეს ხალხს და ასი მანეთის მაგიერ 25 მ. დააჯერებდეს თითო მილიციონერს, ისიც მაშინ, თუ წაიყვანონ და ომი მართლა არ გათავდეს.

XX.

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

გაზეთის „National Zeitung"-ის კორესპონდენტი ასე აგვიწერს სტამბოლის მდგომარეობას 18 იანვარს:

„დღემდინ ყველანი, ვინც კი მტერს ერიდებოდა, აქ, სტამბოლში, მორბოდნენ. მაგრამ მას აქეთ, რაც რუსის ჯარები ჩორლუში მოვიდნენ და სტამბოლს მოუახლოვდნენ, აქედამაც მირბიან; დიდძალი ხალხი [illegible] აქედამ აზიის ნაპირზე—სკუტარში,ს სტავროში და უადიკიოიში; ქრისტიანების მომეტებული ნაწილი კი მიტილენის კუნძულზე მიდიან ამბობენ; რომ გალიპოლში ამ ჟამად ერთი მაჰმადიანიც აღარ დარჩენილაო.

„ჯერ კაცმა არ იცის როგორ წავა აქაური საქმეები: თუ მორიგება მოხდა, ხო კარგი; თუ არა, ამბობენ, ხონთქარს მომზადებული აქვს თავის ხომალდი, ჩაჯდება და ბრუსსაში აპირებს წასვლასო. ამ დღეებში გავრცელდა აქ ხმა, რომ ხონთქარი ემზადება აქედამ წასვლასაო, მაგრამ უცხო ქვეყნის ელჩებმა უთხრესო, რომ, თუ თქვენც მიატოვებთ სტამბოლი, საშინელი არეულობა შეიქნება მაშინ ამ ქალაქშიო და სჯობიან ისევ დარჩეთ, რადგან თქვენი აქ ყოფნა ხალხს დაამშვიდებსო.."

შიმშილი და სისაწყლე თან და-თან მატულობს თურმე ამჟამად სტამბოლში. ერთმა ახლად იქიდამ ჩამოსულმა პირმა გვითხრა, სხვათა შორის, რომ ოყა (სამი გირვანქა) პური ათ შაურად იყიდება ახლა სტამბოლშიო და იმასაც ვერ ვშოულობთო.

## იტალია

უცხო ქვეყნის გაზეთებში უფრო დაწვრილებით არის აწერილი რომის პაპის პიო მეცხრის სიკვდილი; ამ აღწერილობიდამ ჩვენ ვსცნობთ, სხვათა შორის, რომ პაპი, რომელიც დიდი ხანია ავათ იყო, ამ უკანასკნელ ხანებში ისეთი მძი-

---

ერთმანეთზე გადაბმულად გვეჩვენებიან, თითქო იმათ შორის ერთი ნაბიჯ-ნახტომიც არ უძევსო..

მოწმენდილ მაისის ღამეში უპრალო ბჟუტა „ბედის ვარსკვლავნი" კაცს ისე ეჩვენებიან, თითქო უზენაესს ოქრო-მჭედელს ძვირფასნი თვალნი ცის კამარაში ახლო-ახლო ჩაუსხავს-ჩაუჯდენიაო. მაგრამ ჩვენ ბნელ დედა-მიწიდამ იმ ბჟუტანამდინ წარმოუდგენელი სიშორეა, ასე, რომ დღე და ღამე დაუყოვნებლივ შავარდნის სისწრაფით იფრინო, მთელი საუკუნეც არ გეყოფა მისახწევად.

სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა ძევს უზომო უფსკრული, ე. ი. უზომო არარაობა, რომელიც არის მხოლოდ ერთად-ერთი იმათი შემაერთებელი; ჩვენი ცხოვრების მახინჯი ფიქრით კი, სიკვდილი სიცოცხლის შეუფერხებლივი შედეგია! ადამიანის მახინჯი გონება ამ აზრის მოუშობას არ კმარობს და კიდევ „წინ მიდის!" საჭიროდ და კანონიერად მიაჩნია სხვა მდგომარეობა ან არსება, ცოცხლად სიკვდილი ან მკვდრად სიცოცხლე. ეს მესამე მდგომარეობა ხიდად ან მაგალითად არის საჭიროო; რომ სიკვდილი გაცოცხლდეს, ჯერ კუტული არსება უნდა გამოიაროს, თორემ უცებ გაცოცხლებას შეიძლება ძნელი რამ შედეგი მოჰყვესო!!

რა მიზეზითაც არის, საერთოდ ცხოვრებაში შეურყევლად სუფევს ეს მესამე შუათანა მდგომარეობა, როცა არც ცოცხალი ხარ, არც მკვდარი, და გასაოცარი ერთ გვარის რიგით თხოულობს გადაწყვეტილ სამსხვერპლო რიცხვსა. ცხოვრების საზოგადო წესი ან ადათი ხშირად უფრო ძლიერია, ვინემ პიროვნული ჯან-ღონე კაცისა...

ამიტომ, ძალა-უნებურად ჩავარდნილი ცოცხლად სიკვდილში, მე შევჩერებოდი ჩემს „იმედსა," როდესაც „ახალი წელიწადი" დადგა. უნდა გითხრა, მეგობარო მკითხველო, რომ კარგა ხანია, რაც მე ჩემი იმედის კალენდარი გავიჩინე, და გრიგორის ან იულიანეს კალენდარს მაგრე რიგად აღარ ვეწყობი.

ამიტომაც ეს ამას წინედ დამდგარი „ახალი წელიწადი" მე არც ახლად და არც ძველად ჩამითვლია;—ისე მივილე, როგორც უფერული ნაფლეთი „უკუნითი-უკუნისამდე" მდინარე დროისა.

წარვიდა ჩემთვის ის დრო, როდესაც ამ ცრუ ახალ-წელიწადის მიგებებაზე უცნაურად მიცემდა ხოლმე გული! ეხლა იმავ დღეობას მხოლოდ ჰაზრი „ცივხმელი, ბასრი, დამცინველი, სულის დამწველი" დაჰფრინავდა მიუწთომელ სიმაღლეში, და წარსრულ დროის ნაფლეთებს, სურათ-სურათად ნაგროებს, დაჰყურებდა მოელვარე გამჭვრეტელობით...

მაგრამ, მკითხველო კეთილო, ჰაზრი საყვარელი შვილია გრძნობებისა, რომლებიც მას დედა-შვილურად ასაზრდოებენ. მოუსპე კაცს სურვილი, გაუნადგურე სიყვარული, მოუხიბლე ლტოლვილება,—დარწმუნებული იყავ ჰაზრი გავაგლახდება, დაუღონოვდება როგორც გულში დაჭრილი გმირი, დასუსტდება როგორც უძუძოდ დარჩენილი ყრმა უსუსური! ავარჯიშე კაცის გრძნობები, და მაშინ სულ სხვა შედეგს მიაჰხწევ,—სიყვარული ამრავლე, სურვილი აფალავნე,—(ჩიხირთმით კი არა!), ლტოლვილება ანავარდე, და სხვა და სხვა.. და დარწმუნებით იყავ, რომ ჰაზრი გამშვენიერდება, გმირი შეიქნება ბანოვანი, ლაზათიანი და უძლეველი.....

..... მეორეს მხრით ისიც არის, რომ ჰაზრი მუდამ მომდინარე რიონს ანუ მტკვარსა ჰგავს—შეგუბებას არ შნოობს; პირველ შეფერხდება, მაგრამ ეს წამია და მეორე წამს მრისხანებით გლეჯს შემგუბებელ ძალას, ანგრევს საკუთარს სადგურსა რუ-ხევსა.. ეს საზოგადო ცხოვრების კანონი პიროვნულ ცხოვრებაში ხშირად შეუმჩნეველად რჩება.

ტ—ი ი.

მე ავათმყოფი შექნილა, რომ ლოგინიდამ ველარ ამდგარა და რამდონიმე დღის განმავალობაში საჭმელიც ველარა უჭამია-რა.

დილიდამ 26 იანვარს თითქმის სულ დაკარგვია გრძნობა. ანტონელის მოადგილეს სიმეონის იმ წამსვე უცხო ქვეყნის ყველა კარდინალებისათვის უცნობებია, რომ პაპი საშიშარს მდგომარეობაში არის და რომში უნდა მოხვიდეთო. ნაშუადღევის სამს საათზე, 26 იანვარს, კი გადაცვლილა.

წმინდა საიდუმლო მიუღია და ხუთ საათზე იმ წამსვე ეს ამბავი მთელს რომს შეუტყვია და სამღვდელობა და ბევრი ერის კაცებიც შეკრებილან ვატიკანში (პაპის სასახლეში). წმ. პეტრე სობორის გუმბათზე სანთლები დაუქრიათ და ყველა ეკკლესიებზე ზარის რეკვა შეუწყვეტიათ.

გაზეთებში არ არის ჯერ აწერილი მიცვალებულის პაპის დამარხვის ცერემონია.

ახალი პაპის ამოსარჩევლად კარდინალების კრება (კონკლავი) რომში შეკრიბება.

## თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს ; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს : ვერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ო თ ხ შ ა ბ თ ს : ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიურჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს : ვერმიშევი-შინაგან ავათმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს : ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და—ხირურგიულისთვის.

შ ა ბ ა თ ს : ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათფმყოფი., ქიურჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალი ავათმყოფობის.

# განცხადებანი

## კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისაგან

რადგან ხშირად მოგვდის სხვა და სხვა პირებისაგან თხოვნა; რომ გვსურს **ყარაიაზის მამული** ვიყიდოთო, ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ საქვეყნოთ გამოვაცხადოთ რომ 16,000 დესიატინიდამ ამ მამულის I განყოფილებაში კიდე დარჩენილია გაუყიდავი ქვე-მოხსენებული უჩასტკები, რომელნიც მომეტებული ნაწილი სარწყავი მამულებია.

**გაყიდვის პირობა** და **ფასი** უჩასტკებისა ისევ **ძველი რჩება.**

ვისაც ამ მამულების შეძენა ჰსურს და დაწვრილებითი პირობების შეტყობა, შეუძლიან მიმართოს ხსენებული საზოგადოების კანცელარიაში, გაზოვის ქუჩაზე, სახლი №7, ანუ ყარაიაზის გამგებელთან ივანე სტეფანეს ძეს ხატისოვთან—თფილისში, ლაბარატორიის ქუჩაზე, №15.

**გასასყიდი უჩასტკები:**

| არხი | უჩასტკა | დესიატინა |
|---|---|---|
| 3 | — — — № 5 — — — — | 44 |
| 4 | — №№ 6,7,8 და 9 — | 457 |
| 5 | —„10,11,12,13,14 და 15 — | 547 |
| 6 | — — — — 18 და 20 — | 100 |
| 7 | — — — — 27 — — — | 51 |
| 9 | — — — — 41 — — — | 131 |
| 10 | — — — 47 — — — — | 50 |
| 11 | — — — 53 და 58 — | 170 |
| 14 | — — 8186 — | 584 |
| 15 | — — — 87—დამ 95—მდინ | 950 |
| 16 | — — 101,102 და 103 — | 450 |
| 16 | — — 110—დამ 115—მდი — | 750 |
| ჭანდარის არხზედ | 104—დამ 107— | 500 |

სულ — — — 4,784 დესიატინა.

**კავკაზიის სამეურნეო საზოგადოებაში** ისყიდება სრულიად საღი **ჭიის თესლი,** ყვითელი, **ი**ტალიის ჯინშისა; სულ გასასყიდლად არის 14 გირვანქა, და ისყიდება **მისხალი ექვს შაურად** გაგზავნით საიდამაც კი მოითხოვენ კავკაზიაში. ერთს პირს 10—50 მისხალზე.

ვისაც ამ აბრეშუმის თესლის შეძენა ჰსურს, უნდა მიმართოს ხსენებულს საზოგადოებას მიმავალ მარტის პირველ რიცხვამდინ, თან უნდა გამოგზავნოს ფული და თავის დაწვრილებული ადრესი.

ეს თესლი მოტანილია მილანიდამ 1876 წელს უფ. ზეიდლიცისაგან და 1877 წელს ფონ-ბახისაგან გაზდილის ჭიისა არის, რომელიც ჩინებულად მოშენდა თფილისის მახლობლად და ავათმყოფი ჭიები სრულიად არ ყოფილა. 15 მისხლის თესლიდამ ფონ-ბახმა გააკეთა სამი ფუთი და ნახევარი პარკები, რომლისგან გამოვიდა 15 გირვანქა თესლი.

ამ თესლის პარკები საზოგადოების მუზეუმში არის საქვეყნოდ გამოფენილი.

**სტუდენტს ჰსურს აძლიოს უროკები დაბალ კლასებში მოსამზადებელად.**

ადრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება. (5—4)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | ღამე | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 3 თებერ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 23 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 263 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 96 | [illegible] |
| მოგებიანი (პირველი სესხ.) | 238 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 233 | 5[illegible] |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | - | — |
| ხერსონის ბანკი | 83 | 25 |
| მოსკოვის | 83 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 527 | — |
| კავკაზის და მერკური | 225 | — |
| პირვ. სახლევე. სახაზ. | 745 | 50 |
| პეტერბ. სახლევე. სახ. | 235 | 50 |
| მოსკოვის სახლევე. სახ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 7 თებერ. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 10 |
| ფქვილი წითელი | 1 | 80 |
| ქერი ფუთი | 1 | 50 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 8 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი | 8 | 40 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 12 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 8 | 40 |
| —თარაქამისა ფთ. | 4 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. | 6 | 3 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 14 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა | — | 90 |
| სპირტი, გრადუსი | — | 15 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 8 | 20 |
| —ფხვნილი ფუთი | 8 | — |
| ყავა გრგვალი, გირვ. | — | 80 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. | 8 | — |

*Дозволено цензурою Тифлисъ, 7 Февраля 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.